საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
1/4 თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 51

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

გაზ. „ტრიბუნის“ კანტორისათვის საჭიროა გაზეთის გამყიდველები.

ქართული სამხედრო სკოლა

ეუწყება რესპუბლიკის ყველა მშრომელთ, რომ ტფილისში, რუსთაველის პროსპექტზე (ყოფ. გოლოვინის პროსპ. № 4) ვაჟთა ყოფილ პირველ გიმნაზიის შენობაში, მოთავსებულია ქართველ კურსანტების შეერთებული სამხედრო სკოლა. (სამხედრო მეთაურთა კურსები ჯარის ყველა დარგისათვის) სკოლას მიზნად დასახული აქვს მომზადება იმ პირთა, რომელნიც დაინიშნებიან ოცის თავად ქვეითთა, არტილერიის, ცხენოსან ანუ საინჟინერო სამწყობრო ნაწილებში. სკოლაში მიიღება განათლებით როგორც საზოგადო ადრეთვე სპეციალი (სხვა და სხვა ჯარის დარგისათვის) სამხედრო საქმეში შემდეგ განვითარებისათვის. სკოლა იყოფა ორ კურსად: უნცროსი და უფროსი. სკოლაში მოსწავლენი იწოდებიან კურსანტებად და სარგებლობენ ყველა უფლებით: უნცროს კურსზე მყოფნი—თვემდეგის და უფროს კურსზე კი—ოცის თავის თანაშეწმწისა.

სკოლაში შესვლა შეუძლიან ყველა მშრომელს არა ნაკლებ 18 სა და არა უმეტეს 28 წლისას, რომელნიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

უნცროს კურსზე მიიღებიან უმთავრესად პირველ დაწყებითი სკოლის არა ნაკლებ სამ კლასს დამთავრებულნი, მხოლოდ პოლიტიკურად განსაკუთრებულ რეკომენდაციით აღჭურვილნი მიიღებიან უფრო ნაკლები ცენზითაც. სპეციალურ განყოფილებებში (არტილერიის და საინჟინერო) მიიღებიან არა ნაკლებ სამეტ. გიმნაზიის 4 კლასის ცენზით. უფროს კურსზე მიიღებიან მხოლოდ ისინი ვინც გამოცდას ჩაბარებენ უმცროს კლასის კურსზე.

სკოლაში შესვლის მსურველთ განცხადება უნდა შემოიტანონ სკოლის უფროსის სახელზე პირველ ნოემბრამდე. განცხადებასთან დართული უნდა იყოს: მიღებულ განათლების მოწმობა და პოლიტიკური კეთილსაიმედოობის მოწმობა, ან პარტიულ იაჩეიკის, ან რევკომის, ან პროფკავშირის ან და პარტიის ორი წევრის მიერ ხელმოწერილი სათანადო ბეჭდით დადასტურებული.

ჯარის ნაწილთა უფროსნი, არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა გამოუგზავნიან სკოლის უფროსს იმ წითელ არმიელთა სიას, რომელნიც აკმაყოფილებენ სკოლაში მისაღებ პირობებს. ასეთი პირნი უნდა გამოგზავნონ სკოლაში პირველ ნოემბრისათვის.

ყველა შემსვლელი სკოლაში გაისინჯვებიან ჯანმრთელობის მხრით, სამოსწავლო კომისიაში განათლების მხრით და სამანდატო კომისიაში პოლიტიკური მხრით. ყველა მიღებული სკოლაში ითვლება ნამდვილ სამხედრო სამსახურში. სკოლაში სწავლის ვადა ორი წელიწადია. სკოლაში ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს, სპეციალ სამხედრო საგნებს და სამწყობრო მეცადინეობას. სწავლა სწარმოებს სახელმწიფო ენაზე. წარმატებით სწავლა დამთავრებული კურსანტები დაინიშნებიან ოცის თავის თანამდებობაზე სამწყობრო ნაწილში: ქვეითა, ცხენოსან, არტილერიის და საინჟინერო და მიიღებენ სახელმწიფოს ხარჯით სამხედრო მეთაურთათვის დაწესებულ სრულს კომპლექტს: ტანსაცმელს, თეთრეულს, მოკაზმულო ას და იარაღს.

საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკის სამხედრო სახაგზავნებლების
სამმართველო.

უარსის კონფერენციის შედეგები?

როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც იყო აღნიშნული, ქ. უარსში მოხდა რუსეთის, ამიერკავკასიის ერთა და ოსმალეთის წარმომადგენელთა კონფერენცია. ამ კონფერენციას მიზნათ ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის (ოსმალეთის) და ამიერკავკასიის შორის, მტკიცე ურთიერთობის გაბმტკიცება და ნორმალური მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარება. ჩვენს წერილში უარსის კონფერენციის შესახებ, ჩვენ აღვნიშნეთ ამ კონფერენციის დიდი მნიშვნელობა ამიერკავკასიის ერთა ცხოვრებისათვის. კერძოთ, ჩვენს შესახებ ესწერდით: „თუ ჩვენ უარსის კონფერენციას, ჩვენი ეროვნული საზომითა და სარგებლიანობის საზრისით მიუდგებით, უნდ „ადვიაროთ, რომ მან უნდა არსებითად გადაჭრას ჩვენი დიდი მტკივნეული კითხვები და უნდა გაგვინადგუროს ის დანაკლისი, რომელიც ქართველმა ხალხმა „აჰკარგა ისტორიის მსვლელობაში“... კონფერენციამ უნდა გადაჭრაა ოცის თავის „ენილება და ერთვინ ერდგანი უნდა „ეუბრაგნოს თავის პატრონს“. აგრეთვე: „იმ პირობებში, რომელიც შემუშავდა ისტორიულად და რომელმაც დიდი ეროვნული შიში განმტკიცა ქართველ ხალხში, ჩვენთვის გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება ახლო აღმოსავლეთში ნორმალური მდგომარეობის შექმნას და სადი ურთიერთობის განმტკიცებას.“ (იხ. „ტრიბუნ. № 46). მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენი პოლიტიკური ბაზი ურთიერთ მშვიდობიანობისაკენ ერის მიმართული და სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს. საქართველოს თავისი ისტორიული ცხოვრების ვითარებაში იშვიათად უწარმოებია აგრესიული პოლიტიკა და მას მშვიდობიანობის შეგნება და თავდაცვის ინტერესი ამოძრავებდა ყოველთვის. ეს შეეხება პატარა ერისა, მისი ობიექტიურ მდგომარეობიდან გადმომდინარეობიდან. ქართველი ხალხი თვით წარმოადგენდა გარეშე იმპერიალიზმის საექსპლოატაციო ობიექტს და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაუმაძღარნი მტერები შეუდარებელის დოსტაქრობით სთელავნენ საქართველოს სხეულს. ასეთს პირობებში ერის შეგნება და საშოვრმდო გზა თავის სასიცოცხლო ინტერესებისაკენ ერის მიმართული და მას თავდაცვის ერსებობის შენარჩუნების მეზი, არ აფერი აქ ეზომედებს. ცხადია ასეთი შეგნება ერისა მოითხოვს სამართლიან ურთიერთობისა და მშვიდობიანი დამოკიდებულების განმტკიცებას მეზობელ ერებთან და ყოველგვარ სადავო საკითხების, ამაევ გზით გადაჭრას. ასეთი მშვიდობიანი მიდრეკილება და ბუნება პატარა ერისა ისტორიულ პირობების ზეგავლენით შეიმუშავდა და ის არ თხოულობს რადი კალურს რევიზიისა და გადასინჯვას. და როდესაც უარსის კონფერენცია შეიკრიბა, საქართველო თავისი მშვიდობიანობის პოლიტიკით უნდა წარმსდგარიყო იქ. მისი ინტერესები მოითხოვდა ერთხელ და სამუდამოდ შეეკმნა ახლო აღმოსავლეთთან სოლიდარული დამოკიდებულება და მოესპო ყოველგვარ ბრძოლა საფუძველში. ჩვენ ეს მთავარი ხაზი საქართველოს პოლიტიკისა აღვნიშნეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ეს პოლიტიკა სრულებით არ მოითხოვს საქართველოს, ისევდაც შევიწროებულ ტერიტორიის, შეკვეცასა და წაგლეჯას. ქართველ ხალხს არავისათვის არ წარუგლეჯია მიწა წყალი, წინაადმდეგ, მისი მტერი სულიერნიდენ მრავალი წლების განმავლობაში ჩვენს ძმებსა და ანიავებდნენ ჩვენს დოვლათს. ეს უსამართლობა დღესაც გამოუსწორებელია, და ქართველი ხალხის ინტერესები მოითხოვს ერთხელ და სამუდამოდ, საზღვარი დაედვას მას.

უარსის კ ნფერენციას ჩვენ ამ საზომით მიუდგეთ, და ვფიქრობთ, არც ერთ კეთილშობილ ქართველს სხვა საზომი არ ექნებოდა ამ საკითხში. ქართველი მშრომელი ხალხი უარსის კონფერენციიდ ნ დიდ შ დეგებს მოელოდა.

დღეს კონფერენცია უკვე გათავებულია. დელეგატები დაბრუნდნ. გაზეთების გადმოცემით, სომხეთში კონფერენციის წევრებს ბანკეტებით შეხვდნენ და დიდი ზეიმიც გაიმართა. შაუმიანის სახელობის მუშათა კლუბთან დიდი მიტინგი გაიმართა. ორატორებმა შახტანტისკიმ, მრავიანმა და მაკინციანმა აღნიშნეს კონფერენციის დადებითი შედეგები ორივე მხარისთვის და სიხარულით აღნიშნეს გულწრფელობა, რომლითაც იყო გამსჭვალული მოლაპარაკების ყველა მონაწილენი. საქართველოს წარმომადგენელი ავადმყოფობის გამო უარსიდან პირდაპირ ტფილისში ჩამოვიდა. ასეთია ცნობები უარსის კონფერენციის შესახებ.

რასაკვირველია ჩვენ ასეთი ცნობები კონფერენციის დადგენილებების შესახებ, ვერ დაგვაკმაყოფილებს. დელეგატების საპატივცემო ბანკეტები და მიტინგები პრაქტიკულ პოლიტიკის სფეროში არ შედის; არც ზოგადი ფრაზები „დადებითი შედეგები“ და „მონაწილეთა გულწრფელობა“ მოგვცემს საიმე გარკვეულს წარმოდგენას, იმის შესახებ, თუ როგორს შედეგებს მიიღწია კონფერენციამ და რაგორ კონკრეტულს ფარგლებში გადასჭრა ჩვენი ცხოვრების დიდი და მტკივნეული საკითხები. ჩვენს წინ საპირისპირო კითხვები სდგანან, რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელი არის და არც ჩვენი საქმიანობა არ მოითხოვს გვერდის აუარეთ მას. ჩვენი ცხოვრების მსვლელობა და განვითარება მრავალ საუკუნის განმავლობაში, შემოფერხებელ ზღუდეებით იყო გარს შემორტყმული და არ გვქონდა აღორძინებისათვის შესაფერისი პირობები. დღეს ეს შემაფერხებელი ზღუდეები უნდა დაირღვეს, გამან დაურეული პირობები უნდა მოისპოს. ამ დიდსა და რთულს პროცესში, ნორმალურს პირობების შექმნისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომელს დემოკრატიას სურს შეგნებულად იდგეს თავის სალაბარაკოზე და ყოველი მოვლენა ჩვენი ოსტატურის თავისი სოციალისტურის საზომით აწონ-დაწონოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უბრალო ტელეფონის ცნობების გადმოცემით, ისიც ბანკეტებისა და მიტინგების შესახებ ერევანში. შეუძლებელია კონფერენციის მნიშვნელობის ამოწურვა. ჩვენ გვინდა უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ დადგენილებების შესახებ და ვიცოდეთ, რაგორი შედეგები მოგვცა კონფერენციამ ჩვენ არ ეკუთვნდა ბრმა მაყურებელი ვიყოთ ჩვენი სახელმწიფოებრივ მშენებლობის პროცესში და არ ვიცოდეთ ის დიდი მომენტები, რომელთაც ადგილა ექნება ჩვენი ცხოვრების მსვლელობაში. ჩვ ნი საზღვრების საკითხი, ჩვენი ურთიერთობა მეზობელ ერებთან და განსაკუთრებით, ოსმალეთის ხალხთან, დიდი და გადამჭრელი დირებულების საკითხებია ჩვენთვის. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მშრომელ ხალხს „ის შეეხება სრული და სწორი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. საჭირო გამოქვეყნებულ იქმნეს უარსის კონფერენციის დადგენილებების სრული ტექსტი.

პროფკავშირებზე

მრავალ საკითხთა შორის, რომელნიც ჩვენს ყურადღებას ექნება გადასაწყვეტი ბარის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და რევოლიუციის ბედთან დაკავშირებული მორიგი პრობლემა, რასაც არ შეგვიძლია გვერდი აუარეთ. საკითხი შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას პროფკავშირებისადმი. ყველამ კარგათ ვიცით, რომ მიუხედავად მთავარი კომიტეტისა ან ხელმძღვანელობის მოკლებისა, ჩვენი პარტიული ფრაქციები ერთგვარ გამაცოცხლებელ როლს თამაშობდენ მენშევიკებისაგან ჩაბუნულ პროფკავშირებში. პარტიული ხელმძღვანელი წრეები კი, კონფერენციების რეზოლიუციებს იშვიათად თუ გასცილებიან. ამიტომ თვით იმ კავშირებში, სადაც ფრაქციები გვყავდა, (ახალი ფრაქციების შექმნაზე ვის ზრუნავდა!) მუშაობა მაინც ხშირად მიზანშეწონილად არ სწარმოებდა. ერთი სიტყვით მათ აკლდათ ხელმძღვანელი პარტიისაგან საკითხების გაშუქების მასაზრდოებელი ხელი. არ გვქონდა პროფესიონალიზაციის ლიტერატურა, რომელიც შესაფერისად გაუწყალადებდა გზას პროფკავშირებში მომუშავე ამხანაგებს და შეძლებას მისცემდა მუშათა წრეებში პარტიული ფიზიონომიის გამომჟღავნებისათვის. ამის გაჭიანურებას ჩვენს პროფესიონალისტებსაც მუშაობაზე გული ჰქონდათ აცრუებული, ყოველივე ამას ყრილობამ ბოლო უნდა მოუღოს ერთხელ და სამუდამოთ ნათელი და გარკვეული პასუხი უნდა გაეცეს ყველა იმ საკითხებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან თანამედროვე პროფესიონალურ მოძრაობასთან საერთოდ მთელს ქვეყნაზე და კერძოთ საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ ომისა და რუსეთის რევოლიუციის შემდეგ, პროფკავშირების მიზნება და ორგანიზაციული ყალიბი საგრძნობლად შეიცვალა. სოციალისტური რევოლიუციის ბძალვრმა ტალღების მოახლოვებამ, ერთიანნ შეარყია, როგორც შესაფერებანი პროფკავშირთა მიზნებზე და როლზე, აგრეთვე მის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე. რუსეთის პროლეტარულ სტრუქტურაზე. რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ აშკარა გახდა, რომ პროფკავშირებას ანპოლიტიზმი ისტორიულად ანაქრონიზმია, რომ როდესაც სამკვდრო სასიცოცხლო ომი სწარმოებს მუშათა კლასისა და პროლეტარიატის შორის, პროფკავშირების განზე გადგომა იგივე მუშათა კლასის ღალატია, მისი ბრძოლითი უნარის შესუსტებაა. საერთაშორისო მშრომელთათვის თანდათან ნათელი ხდება, რომ პროფკავშირების მიზანს დღეს მუშათა კლასის მარტო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა არ შეადგენს, რომ მიტჩილებისა და ვებბების „ეკონომიური დემოკრატია“ „წარმოებითი დემოკრატია“ ცხოვრებისაგან უარყოფილია. მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის ინტერესების შერიგება არ შეიძლება, რა გინდ „ეკონომიური კონსტიტუციები“ სწერონ, დაბერებული ტრედიუნიონიზმის ხელმძღვანელებმა. ამიტომ ევროპა ამერიკაშიაც სოციალისტური რევოლიუციის ბურჯი ისე, როგორც ეს რუსეთში მოხდა პროფკავშირები უნდა შეიქმნენ. ცხადია ჩვენი ყრილობა შესაფერისად დაადასტურებს ამსტერდამის საერთაშორისო შრომის კონფედერაციის ხაზს და ამასთანავე გამოთქვამს თვის დამოკიდებულებას საერთაშორისო წითელ პროფკავშირებისადმი. ჩვენ ეჭვი არ შეგვიქმნია იმაში, რომ ყრილობის პასუხი ამ შემთხვევაში დადებითი იქნება, მაგრამ ამით საკითხი საბოლოოდ ამოწურული როდი იქნება. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რაგორ უყურებს პარტია პროლეტარიატის დიქტატურის დროს პროფკავშირებს, რა როლს აკუთვნებს იგი მუშურ სახელმწიფოში პროფკავშირებს, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება პარტიასა და პროფკავშირებს შორის, როგორი უნდა იყოს პროფკავშირთა მეთოდი—მთელი რიგი იმ საკითხებისა, რასაც ჩვენმა ყრილობამ გარკვეული პასუხი უნდა მისცეს. რუსეთში ამ საკითხებმა დიდი ბრძოლა გამოიწვია. დიდი ბრძოლა შეხლა-შემოხლა, მთელი მიმდინარეობანი შეიქმნა. ეს უმთავრესად გაღმოწვეული იყო იმისგან, რომ რუსეთი ახალ ეკონომიურ ლიანდაგზე აპირებდა შედგომას. ჩვენ კი დღეს საქმე გვექნება ფაქტთან, დღევანდელ ეკონომიურ-სოციალურ პოლიტიკასთან და ეს შესაფერებად შეამსუბუქებს საკითხთა გადაჭრას.

პროფკავშირების მიზანი პროლეტარიატის დიქტატურის დროს მართალია წარმოებით—ორგანიზაციულია, მაგრამ გამოსარკვევია რამდენად და როგორ. ამ შემთხვევაში ჩვენ დაგვიდგება საკითხი სახალხო მეურნეობის ორგანოებთან პროფკავშირების დამოკიდებულებისა და აქაც საჭირო იქნება ჩვენმა ყრილობამ საკმაოდ გამოიყენოს საქართველოს პროფკავშირების სუსტი და ძალიერი მხარეები, იმისათვ ს, რომ პროფკავშირებს არ მიენიჭოს ის ფუნქციები, რის ასრულებაც მას არ ძალუძს და არ ჩამოერთვას ის მოვალეობანი, რაც საჭიროა მის ცხოველმყოფელობისათვის მიზანი ყრილობისა, რადა თქმა უნდა, ერთი იქნება: გამონახოს ისეთი გზები, რომელიც წარმოებით კავშირებს საშუალებას მისცემდა სახალხო მეურნეობა მთლიანად თავის ხელში აიღო, რადგან მხოლოდ მწარმოებელი კავშირებია ერთად ერთი მემკვიდრე სოციალისტური მეურნეობისა, მაგრამ ასე ნაუცხადევად, ასე მექანიკური, ამ მიელი წარმოების ხელში აღება ჩვენს სუსტს პროფკავშირებს არ შეუძლიათ. მაშასადამე აქ საჭიროა ერთგვარი თან და ზეთანობა, და ეი სწორედ ამ გარდამავალი და თან და თანობითი გზების გამონახვა არის მეტად მძიმე და სერიოზული საკითხი, რომელიც ჩვენი ყრილობის წინ არის გადასაჭრელად დასმული. ეს კი მოითხოვს ჩვენი ეკონომიური პროფესიონალური ორგანოებისა და საერთოდ ჩვენი ეროვნულ მეურნეობის სინამდვილეს ცოდნას და ყოველივე კონკრეტულ მოვლენათა გათვალისწინებას.

რუსეთშიაც ამ გარდამავალ ფორმების გამონახვას დაბარჯა უამრავი შრომა და დიდი ინტელექტუალური ენერგია.

ამრიგად სერიოზული და გულდასმითი მუშაობა დასჭირდება ყრილობას იმისათვის, რომ მან შესაფერისად უპასუხოს ამ მეტად რთულსა და მუშათა კლასისათვის სასიცოცხლო საკითხს. ამ საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრაზე დამოკიდებული პარტიის ძალიერებაც მუშათა მასებში და საერთოდ ჩვენი პარტიის პოლიტიკური გავლენაც.

ეფ ხაჩანოელი.

საქ. სოც.-დემ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და საარჩევნო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

პროგლემათა სამყარო

ადამიანის აზროვნებამ თავის პრიმიტიულ სახეობაშიაც, პრობლემათა სამყარო შექმნა. სამყაროს ცვალებადობაში მრავალი პრობლემა ისმის და მის გადაწყვეტისათვის მუშაობს, ჩვენი ინტელექტუალური ძალღონე, ჩვენი ადამიანური სულის მაძიებელი თვისება.

ტანჯვა აზროვნებისა ორი მიმართულებით ვითარდებოდა და ორივე ბრძოლა სხვა და სხვა პრობლემათა სამყარო იშლებოდა. პირველი იყო ტანჯვა სოციალ-პოლიტიკური, მეორე, ტანჯვა—ფილოსოფიუ—რელიგიური.

ადამიანის აზროვნება, მისი ინდივიდუალობა, ორი სატანჯიპოლიუსის შეგ მდებარეობდა, ორი ცეცხლი იყო მისი ფიზიკურ-სულიერი სახეობის ულმობელი ბგონია. დღესაც ორივე მიმართულებით განიცდის პიროვნება ტანჯვას.

მე 19 საუკუნემაც ორი უდიდესი პრობლემა დასვა. შექმნა მთლიანი მსოფლმხედველობისა მეცნიერულ საფუძვლებზე, ერთი მხრივ და სოციალური პრობლემის გადაჭრა, მეორე მხრივ რომელიც ინდივიდისა და კოლექტივის ურიერთობის შეთანხმებაში ჰპოებდა გამოსავალს. ამ პრობლემათა გადაჭრა-

სათვის მუშაობდა სენ-სიმონის პოზიტივისტური და სოციალისტური აზროვნება, ჰეგელსა და ფიხტეს დიალექტიური მეთოდები ჩამოქნა, ენციკლოპედიური და ეთიკური რადიკალიზმი.

ყველ მოთკანს თავისი მემკვიდრე დარჩა, მაგრამ ლენინიზმ კომუნიზაციურ წერტილამდე ადის პროგენების ორმაგი ტანჯვა.

მსოფლიოს უმრავლესობა, სოციალურ-ეკონომიური ჩაგვრის ქვეშ ტყოფი, ლეწავს ხუნდებს და ახალი ქვეყნისაკენ ისწრაფვის. საუკუნეთა ტანჯვამ გაკეთებული ენერგიის დაგროვება მაქსიმუმამდე აიყვანა და იგი დეშვა ძირს, იმ მიზეზთა მოსპობისათვის, რომელიც მშობელი გახდა პროგენების სოციალ-ეკონომიური ტანჯვისა.

მე 20 საუკუნე დასასრული იქნება ამ ტანჯვის. ადამიანის ბუნებას მოწყენა სიმშილის აჩრდილთა ლანდები და მეორე ტანჯვა დაიწყება, ტანჯვა ფილოსოფიურ-რელიგიური.

სიმშილის აჩრდილს, სიკვდილის აჩრდილი შეცვლის. ადამიანის სულ ფილოსოფიურ აზროვნების ბილიკებზე გაიჭრება და ამიერ საუკუნოთი უზრუნველი; იმიერ საუკუნოს შეცნობურებას ისურვებს.

რელიგიური კონცეპციები ადამიანის სკეპტიკურ სულს ვერ განკურნავს და ის უმპირულ საზრიანით კოსმიური პრობლემის გადაწყვეტას შეუდგება. ფილოსოფიური ტანჯვის აგონია დღეგანდელ ხმალსა და სისხლის დვრას, კალამსა და მელნის დვრად შესცვლის, მაგრამ ტანჯვის ინტენსიობა არ გაქრება, იგი პროგრესიულად წინ ხტომით იარს.

მსოფლიოს დასასრული, ცენტრი გახდება აზროვნებისა და შოპენჰაუერის, გარტმანის, ნიცშეანდერის სული მე 21 საუკუნის მოაზროვნეთა შემოქმედებაში ნახავს თავის თავს.

დღეგანდელი რევოლიუცია სოციალ-ეკონომიური ტანჯვის საწინააღმდეგო პროცესია, ხვალინდელი რევოლიუცია ფილოსოფიურ-რელიგიური ტანჯვის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ანტიურ ფილოსოფიაში დასმული პრობლემა, მე 21 საუკუნეში ნახავს სრულ პასუხს, ან ადამიანის ინტელექტის არარაობა ცხად-ყოფილი გახდება.

ერთი ტანჯვის წინააღმდეგ აჯანყებულნი მეორე ტანჯვას უახლოვდებიან, ადამიანის არსებობა ტანჯვის გარეშე ილუზიაა.

პრობლემათა სამყარო ტანჯვის ფოკუსია. ტანჯვა ცხოვრების შინაარსია.

სერ. ამაღლებელი.

ახალი ამბები

— ოპერა-დრამა. დღეს ოქტომბრის 20 ქართულ კლუბში ქართველ ხელოვანთათვის გაიმართება სახუმარო ოპერა-დრამა „ვანო წამებული". ოპერის წინ ავტორი წაიკითხავს დრამოტა-მანდატს ბოძებულს მისადმი „ეშმაკის მათრახის" კოხსერვატორიის სამხატვრო საბჭოს მიერ. ოპერა-დრამა ხანება მოკლე მოხსენებით, რომელიც ამენებულია შემდეგ ლოზუნგზე: „სჯობს მშიერ კუჭზე მოწყენას, სიცილი ლადად ხმოვანი"—ლექსი არა ზოთა რუსთველისა, არამედ „ეროტა ფშუტ ველისა". უფასო ბილეთები ხელოვანთათვის რიგდება ხელოვანთა სასახლეში. საზოგადოებისათვის გაიყიდება მხოლოდ ორმაგი ბილეთი.

— რუსული დრამა. სახელმწიფო დრამატიულ თეატრში რუსული დრამის სეზონი გაიხსნება 26 ოქტომბერს. სეზონის გახსნისას დაიდგმება ისტორიული ტრაგედია მერეჟკოვსკისა „ცესარევიჩი ალექსი".

— მახწავლ. კოოპერატივში მიღებულია: ყველი, ქართოფილი, ფქვილი, საპონი, მატყლი, ჩი, რეგულები, კალმები, ფანქარი, მელანი, ბაიკის საბანი ბავშვის ფეხსაცმელი, ქალის ჩულქები, ფართალი, იმერული ბალღები და სხვა საქონელი.

— მოხვალი სენაკში. სენაკიდან ჩამოსულის გადმოცემით წელს სენაკის მაზრაში სიმინდის მოსავალი ძალიერ მცირე იქნება, შედარებით გასულ წელთან როდესაც საჭირო იყო წვიმები, სითესი მინდვრები საშინელმა გვალვამ გადასწვა ახლა შეუწყვეტლივ წვიმს და ისედაც მცირე ჰექტარებს არ აძლევს სუფთალებას დამწიფებისა და გახმობისათვის. ღვინის მოსავალი შედარებით კარგია. ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი მაზრა თავისი რესურსებით ვერ დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. საგაზრო რევკომი შეუდგა სასურსათო გადასახიდს კომპანიისათვის მზადებას.

უცხოეთი

რომი. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელეტორეტამ კეთილ-სასურველად გადასცა ყველა მძიმე საკითხი, რომელიც კი წამოყენებული იყო კონფერენციაზე ვენეციაში. ბერვერლანდის საკითხის განხილვის დროს ავსტრო-უნგრეთის კონფერენციამ ვენეციაში დაადგინა: მიეცეს წინადადება უნგრეთს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მეამბოხეთა მოძრაობის ჩასაქრობლად, რომელიც მიმართულია უნგრეთის წინააღმდეგ და გასწმინდოს ზონ პლებისციტის მოსახდენათ. უნგრეთის წარმომადგენელი შეფერხდა ამ გადაწყვეტილებას. იტალიის პრესა ერთსულოვანობით მიესალმა ავსტრო-გერმანიის კონფლიქტის გადაჭრას.

ნაუენი. პარიზის პრესა ადნიშნავს რომ უნგრეთის დიპლომატიის კონფერენციაზე ვენეციაში დიდი წარმატება ჰქონდა, უეჭველია პლებისციტის შედეგი სადაო ზონაზე საკითხილო იქნება უნგრეთისათვის. საჭირო იყო ამ პლებისციტის უფრო ადრე დანიშნა, სანამ ტრიანონს ხელშეკრულობა დაიდებოდა პარიზის პრესა ხაზს გასმით ამბობს რომ უნგრეთის საკითხს მთელ მსოფლიოსათვის აქვს მნიშვნელობა.

ბუდაპეშტი. უნგრეთის პრესის აზრით ვენეციის კონფერენციაზე შეთანხმების მთავარი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება რომ ის წყვეტს იმ ჯაჭვის რგოლს, რომელშიაც სცდილობენ უნგრეთის მომწყვდევას. უნდა ვიფიქროთ, რომ უნგრეთის მთავრობა ბაშინ მხოლოდ იცნობს შეთანხმებას მიხწეულად, როცა მიცემული იქნება თავისუფალი კენჭისყრის გარანტია საპლებისციტო ზონაში. „პესტერ-ლოიდის" აზრით უნგრეთის საზღვრები სულ სხვანაირი იქნებოდა, თუ რომ ყველა მისგან გათიშულ ტერიტორიაზე შემოღებული ყოფილიყო პლებისციტი, როგორც ეს იყო სოპრონში: „ვინერ ალგემეინე ცეიტუნგი" ამბობს, რომ სოპრონის მიდებული პლებისციტი სასურველად არ დაურჩება მოკავშირეებს და არც უნგრელებს, რომლებიც მოელოდენ პლებისციტის დამყარებას მთელ დასავლეთ უნგრეთშიო.

ნაუენი. უმუშევართა რიცხვი იტალიაში 1 მილიონს ადწევს. სამინდრო მუშაობის დასრულების შემდეგ უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო იმატებს.

—ბერძენ ოხმალთა ფრონტზე. ესკიშეხირის მიმართულებით ტყვია მფრქვეველთა და არტილერიის დიდი სროლაა. სხვა ფრონტზე ჯარის გადაჯგუფება გრძელდება.

— კომუნისტებიხ საკვდილი. ბუქარესტიდან მოსული ცნობით რუმინიის პოლიციამ მოკლა პროფ-კავშირების მდივანი პოპოვიჩი, დეპუტატი სტეპანო და მდივანი კომუნისტური პარტიის კომიტეტისა—სტერნბერგი. ყველა მოკლულნი რუმინიის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი წევრებია.

კ. კაუცკიმ დასწერა ახალი წიგნი: „დემოკრატიიდან სახელმწიფო მონობისაკენ", რომელიც უპასუხებს ლ. ტროცკის წიგნზე: „კომუნიზმი და ტეროროზმი".

მოსკოვი. 17 ოქტომბერს გაიხსნა იტალიის სოციალისტური პარტიის კონგრესი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგატმა ნაცვლად მისალმებისა საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა იტალიის სოციალისტურ პარტიის წინააღმდეგ და აღნიშნავდა მის დალატს იმ პრინციპებისადმი რომელსაც ეხლა ხან თავანსა სცემდა ბელგიის წარმომადგენელმა დაახასიათა რა სოციალგამცემლების ყოფა-ქცევა განაცხადა, რომ ის აუცილებლად მიიყვანს პარტიის მიზნების დამსხვრევამდე. რუსეთის კომუნისტ ახალგაზდების წარმომადგენელმა, ომელსაც მიეგებნენ ერთსულოვანი ტაშის კვრით, აღნიშნულია, რომ რუსეთის ახალგაზრდობა მოელის რომ იტალიის პროლეტარიატი გაყვება რუსეთის მაგალითს. ლუნაჩარსკის მაგვრად, რომელიც არ დაუშვეს იტალიაში კონგრეს მიესალმა კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის ტ გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელით კლარა ცეტკინა „მილიონი პროლეტარიატი თვალს ადევნებს კონგრესის მუშაობას, სთქვა ცეტკინის ქალმა, რომელმაც უნდა სთქვას თავის საბოლოო სიტყვა რეფორმიტიზმის გას ძევებლად. მხოლოდ მათი გამორიცხვის შემდეგ რომელსაც უეჭველად მოითხოვს თქვენგან მესამე ინტერნაციონალი, გადაწყვეტილი იქნება საკითხი იტალიის პარტიის კომ-ინტერნთან შეერთებისა. იტალიის მდივანმა თავგასამართლებლად განაცხადა, რომ პარტია იძულებულია იტალიის პროლეტარიატის ინტერესების დასაცველად შეთანხმდეს ფაშიზმს. მომარიგებელ მიმდინარეობის წარმომადგენელმა ალექსანდრიმ დაახასიათა დღევანდელი მდგომარეობა პარტიებისა, როგორც პარტიების რევოლიუციონურ ფარაზეოლოგიისა და არა რევოლიუციონურ საქმისა. მემარცხენე ფრთის ბელადებმა ლადარი და მაფიმ დაიცვეს საჭიროება რეფორმატულ ელემენტებიდან პარტიის გაწმენდისა, რუსეთის კომინტერნის წარმომადგენილის სიტყვის დროს გაიმართა მხეცური სცენა, მაგრამ რუსეთის წარმომადგენელს არ მიუქცევია ყურადღება საპროტესტო ყვირილისათვის და სასტიკი კრიტიკის ქვეშ გაატარა იტალიის პარტიის პოზიცია. ორატორს არ აძლევდენ ლაპარაკის საშუალებას, უშლიდენ ყვირილითა და სტვენით. თეატრში მოხდა შეტაკება მემარცხენე ფრთისა და სერატის მომხრეებთა შორის. საჭირო შეიქნა ჩარევა მეფეთა გვარდიელებისა.

მოწერილი ამბები

ხოფ ხოვლე (გორის მაზრა) როგორც ვეწერენ, ამ სოფლის სამ ოჯახს დიდი უბედურება სწვეია: შემთხვევით ერთი გლეხის ოჯახს გაჩენია ცეცხლი რომელიც ქარის გამო გადაედვა მახლობელ სახლებს, და რამდენიმე ოჯახი საგრძნობლად დაზარალდა.—დადუპულია მთელი სანოვაგე-ქონება მიწის მუშა გლეხებისა, რომლებიც დღეს ცხოვრების სახსარმოსპობილნი არიან; ალექსი ჯანაშვილი, მიხა და თედო კობაძეები. მათი ზარალი დაახლოვებით 20 მილიონს უდრის შენობებისა მარტო, სხვა სანოვაგის გარდა საჭიროა, რომ სოფლის რევკომმა ამ გარემოებას ფიცხელი ყურადღება მიაქციოს და იხსნას ეს მშრომელი ხალხი სიმშილით და სიცივით განადგურებისაგან.

არა პირდაპირი და პირდაპირ გადასახადთა და საბაჟოს განყოფილებებს და ხაზინას

თანახმად 1921 წ. 17 ღვინობისთვეს საქართველოს რევკომის № 75 დეკრეტის 6 მუხლისა, არა პირდაპირი გადასახადნი იმ საგნებზე, რომლებზედაც დაწესებულია აქციზი და ძირითადი და დამატებითი საპატენტო გადასახადები გადიდებულია. ამის გამო და თანახმად იმავე დეკრეტისა, 17 მუხლისა წინადადებას გაძლევთ არა პირდაპირი და პირდაპირ გადასახადთა და საბაჟოს განყოფილებებს და ხაზინებს, მიიღონ სახელმძღვანელოდ და ასასრულებლად შემდეგი:

1. ამა წლის ღვინობისთვიჩ 17 აქციზის მოხელენი აღნუსხავენ ჩაის გასანაწილებელ განყოფილებებში, საზღვარგარეთელ და ადგილობრივ ჩაის და შეაწერენ მათ თანახმად ახალი ტარიფისა აქციზს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს განყოფილებთან ჩაის გამოშვების დროს.

ამ გვარი ჩაის რაოდენობა მოყვანილ უნდა იქმნეს ცნობაში. აგრეთვე რაკინის გზის და გემების სადგურებში, საგრანსპორტო საზოგადოებების და ბანკების საწყობებში, საკოოპერაციო საწყობებში და დუქნებში და საკრეკლებში. რომლებშიაც ჩაის რაოდენობა არ აღემატება ერთ ფუთს და აღმოჩენილ ჩაის უნდა შეეწეროს დასამატი აქციზი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს 7 დღის განმავლობაში.

2. იმავე დღეს აქციზის მოხელენი აღნუსხავენ თამბაქოს ფაბრიკებში დაუხარჯავ ბანდეროლების ჩაშოს, მოიყვანენ ცნობაში ცალკე თამბაქოს და ცალკე პაპიროსების ბანდეროლის ზოლების რაოდენობას და მათი დირებულობას ჩაირიცხავენ მომავალ გადასახადების ანგარიშში. დროებით, სანამ ახალი ნიმუშების უფასო ბანდეროლები დამზადდებოდეს, თამბაქო ტ პაპიროსები უნდა იქნეს გადაკრული ამ ჟამად არსებულ ბანდეროლებით, რომელიც მიეცემა ფაბრიკებს, ხაზინიდან მხოლოდ მისი დასამზადებელ ფასის გადახდევინებით.

3. იმავე დღიდან ლუდის ქარხნებს ლუდის მოსახარშავი მოწმობები ეძლევათ, ახალი ტარიფის კვალზე. თუ მოწმობა წინასწარ აღებულია და მისი ვადა თავდება 16 ღვინობისთვის შემდეგ, იმ შემთხვევაში ქარხანას უნდა შეეწეროს გადასახადთ 17 ღვინობისთვიდან ხვედრი დამატებითი აქციზი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში არა უგვიანეს 7 დღისა.

4. ღვინობისთვის 18 აქციზის მოხელენი აღნუსხავენ პაპიროსის გილზის და პაპიროსის ქაღალდების ქარხნებში ბანდეროლის ნაშთს, და ამ ნაშთს შეაწერენ დამატებითი აქციზს, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში 7 დღის განმავლობაში.

5. იმავე დღეს აქციზის მოხელენი აღნუსხავენ ასანთის ქარხნებში ბანდეროლების ნაშთს და აღმოჩენილ ნაშთს შეაწერენ დამატებითი აქციზს რომელიც შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში 7 დღის განმავლობაში. აგრეთვე მოყვანილი ონდა იქნეს ცნობაში საზღვარგარეთელი და ადგილობრივი ასანთის რაოდენობა. ამ განკარგულების 1 მუხლში მოყვანილი ადგილების საწყობებში და საკრეკლებში რომლებშიაც ასანთის რაოდენობა აღემატება ერთს ყუთს (1000 კოლოფი) და აღმოჩენილ ასანთს შეაწერენ დამატებითი აქციზს რომელიც შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში არა უგვიანეს 7 დღის.

6 იმავე დღეს აქციზის მოხელენი მოიყვანენ ცნობაში, კოხიაკის პურის ხელოვნულობის და ჰაჰის სპირტის რაოდენობას ქარხნებში და საწყობებში და, როგორც აღმოჩენილ ნაშთს, აგრეთვე უკვე გაცემულ მოწმობებში აღმოჩენილ ნორმებს, შეაწერენ დამატებითი აქციზს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მოხსენებული სასმელების გამოშვების დროს.

7. იმავე დღეს, აქციზის მოხელენი. აღნუსხავენ სპირტის ნაწარმოების, ქარხნებში დაუხარჯავ ბანდეროლების რაოდენობას; მოიყვანენ აგრეთვე ცნობაში სპირტის და კონიაკის ნაშთს, სპირტის რაოდენობას მორსებში და ესენციებში, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს ნაწარმოების ქარხნიდან გამოშვების დროს.

8. ღვინობისთვის 19 საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქებში აქციზის მოხელენი აღნუსხავენ ღვინის საწყობებში და სარდაფებში ყოველგვარ ღვინოს: მსუბუქს, სადესერტოს და შუშხუნას და შეაწერონ მათ, თანახმად ახალის ტარიფის დასამატ აქციზს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ამ სავაჭროებიდან ღვინის გამოშვების დროს.

9. ყველა მაგარ სასმელებით მოვაჭრეებს, როგორც ქალაქებში, აგრეთვე ქალაქებს გარეთ, უნდა გადახდეს დასამატი მეოთხეული ნაწილი წლიურის პატენტის დირებულობისა, თანახმად ახალი ტარიფისა.

10. ყველა ღვინის სავაჭროებს ქალაქს გარეთ უნდა გადახდეს ერთჯერადი სააქციზო გადასახადის მეოთხეული, თანახმად დეკრეტთან თანდართული სიისა.

11. თამბაქოს ფაბრიკის და ფოთოლ თამბაქოს საწყობის დავთრები №№ 2, 3, 4 და 5 ნიმუშები შეცვლილი იქნეს შესაფერ ახალის კანონის მოთხოვნილებისა.

12. ზემოთ აღნიშნულ საგნებს აქციზის მოხელენი მოიყვანენ ცნობაში ქარხნებში, საწყობებში და სარდაფებში, პატრონების ანუ მათი რწმუნებულების თანადასწრებით; ამაზედ უნდა შედგენილი იქნეს სათანადო ოქმი ორ ცალად და ერთი ჩაბარდეს პატრონს ანუ რწმუნებულს.

13. ზემო აღნიშნულ ვადებიდან ყოველი საგანი, რომელსაც აქციზი ეღება უნდა იქნეს გაშვებული საბაჟოდან აქციზის ზედშეწერით, თანახმად ახალი ტარიფისა.

14. ზემოაღნიშნულ ვადებიდან ხაზინა უშვებს ბანდეროლებს თამბაქოს ნაწარმოებისათვის უფასოდ, მიღების რაოდენობის აღნიშვნით. (ცალკე თამბაქოსი და პაპიროსების) და მათი დასამზადებელი ფასის გადახდევინებით. ხვაგვარ ბანდეროლებს ჩაის, ასანთის, პაპიროსის გილზის და ქაღალდის, და სპირტის ნაწარმოებთათვის, თანახმად ახალი ტარიფისა. აგრეთვე ყოველგვარი პატენტი გაცემული უნდა იქნეს ხაზინიდან თანახმად ახალი ტარიფისა.

არა პირდაპირი და პირდაპირ გადასახადების და საბაჟოს განყოფილება მიიღებენ ჯეროვან ზომებს, რომ ეს განკარგულება მიაწოდოს მაზრებში ვისაც ჯერ არს სასწრაფოდ.

ფინანსთა კომისარის მოადგილე ბ. ბობინეიშვილი.

პასუხი ხარაგოულის „მეთვალყურეს"

ეტყობა ძალიან გაცხარებულან ხარაგოულის „მეთვალყურეები" სიმართლის თქმაზე, (იხ. „კომ". 188) თუმცა ლაღადებენ რომ მისი წერილი ჩემს მიერ „სიმართლის დალატით" არის გამოწვეული, თითქოს მე კომ. პარტიის ხარაგოულის ორგანიზაციის წინააღმდეგ „მიმემართოს" ჩემი სიტყვა წერილი.—რაში ხედავს ამას „მეთვალყურე"?. ჩემი წერილის (ტრიბუნა 34) შესავალი, სადაც პერიფერიებში უკანტროლო მოქმედებაზე და ცენტრთან დამოკიდებულებაზე მქონდა ლაპარაკი, ხარაგოულის ორგანიზაციამ ყველა თავის თავზე მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ხარაგოულის ორგანიზაცია წარმოადგენს გამონაკლისს სხვა ასეთ პერიფერიებთა შორის. პირი ეწვის პირპირის მეამელს

მეთვალყურეს სიტყვა „თანაგრძნობა" ვერ გაუგია და მის სინონიმად „მოხიბლას" ხმაროს.

— მე ვამბობდი აუდიტორიის თანაგრძნობა, ჩემსკენ იყო მეთქი და თუ „მეთვალყურეს დაკვირვების უნარი აქვს, მან უნდა იცოდეს, რომ მე ამის თქმის უფლება მქონდა, თუ მას შეეძლო იმ აუდიტორიის გაგება, მაგრამ მას დაწერილი ვერ წაუკითხავს და „ნათქვამს ხომ გაგება უნდა".—შემდეგ სწერს თითქოს მე დამეწეროს „პასუხის მგებელმა პირებმა ასტეხეს აურზაური და მოინდომეს ჩემი დაჭერა" მეთქი. ჩემი წერილის შინაარსი ალბათ არ წაუკითხავს და სხვას გადაუცია მისთვის ასე ყალბათ, თორემ ასეთ ცრუპენტელობას რი.გორ იკისრებდა „მეთვალყურე".

მე ვამბობდი არა პასუხის მგებელ პირებზე, არამედ „ორგანიზაციის ზოგიერთ წევრებზე, რომლებმაც ასტეხეს ხსენებული აურ-ზაური (ვინაობა იქნებ თქვენ-ც) ეიდეთ, „აუწტა თავმჯდომარეს ... ...